საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 411

26/12/2019

„საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 8 ოქტომბრის N385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

„საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 8 ოქტომბრის N385 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საინვესტიციო პროექტების შეფასებისა და სამინისტროს პოზიციების შეჯერების მიზნით შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული პროცესის კოორდინაციისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი კაკაურიძე	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ გაგუა	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
ეკატერინე გუნცაძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
შოთა გუნია	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მირზა გელაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ნათია გულუა	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო

	დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე - საბიუჯეტო პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ინგა გურგენიძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
დიმიტრი ქებაძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის ერთიანობის უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მაია ლავრინენკო	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მარინე ყანჩაველი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ნინო ნარიმანიშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ელენე ჩხეიძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ანა ჭაბაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ნატო მოკვერაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის საბიუჯეტო პოლიტიკის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
თინათინ გუგავა	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის საბიუჯეტო პოლიტიკის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი, სამუშაო ჯგუფის მდივანი;
ვლადიმერ ფაშოღლი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
გელა ბუკია	მინისტრის მოადგილის მრჩეველი, სამუშაო ჯგუფის წევრი“.

2. **მე-2 - მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს.**

მუხლი 2.

დამტკიცდეს „საინვესტიციო პროექტების შეფასებისა და სამინისტროს პოზიციების შეჯერების მიზნით შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული პროცესის კოორდინაციისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის დებულება“ თანდართული რედაქციით (დანართი N1).

ივანე მაჭავარიანი

მინისტრი

დანართი N1

საინვესტიციო პროექტების შეფასებისა და სამინისტროს პოზიციების შეჯერების მიზნით შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული პროცესის კოორდინაციისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საინვესიტიციო პროექტების შეფასებისა და სამინისტროს პოზიციების შეჯერების მიზნით შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული პროცესის კოორდინაციისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სამუშო ჯგუფი (შემდეგში – სამუშაო ჯგუფი) შექმნილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.
2. თავის საქმიანობაში სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილებით „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე” (შემდგომში - გზამკვლევი), საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ დანართით №5 დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგიით (შემდგომში - მეთოდოლოგია), საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - წესი), „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის N168 დადგენილებით, , ამ დებულებით, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
3. სამუშაო ჯგუფის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის ამოცანები

სამუშაო ჯგუფის ძირითადი ამოცანებია:

ა) გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენილი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების განხილვა, შეფასება და კომპეტენციის ფარგლებში პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობაზე წინადადებების

მომზადება, პროექტების განხორციელების მონიტორინგი და განხორციელების შემდგომ ეტაპებზე პროექტების შეფასება;

ბ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ამოცანების შესრულების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საინვესტიციო პროექტების შეფასების სისტემის ჩამოყალიბების და სრულყოფის კოორდინაცია;

გ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულების კოორდინირება;

დ) საჯარო ფინანსების (ელექტორონული) სისტემის (ePFMS) ფარგლებში საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ელექტრონული მოდულის შესაქმენელად კონცეფციის შემუშავების და დანერგვის ხელშეწყობა.

მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება

დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია:

1. გზამკვლევის და მეთოდოლოგიის თანახმად განიხილოს, დაამუშავოს და საჭიროებისამებრ დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვოს პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულების/მუნიციპალიტეტისგან (შემდგომში - ინიციატორი);
2. პროექტის ინიციატორთან ძირითად დაშვებებზე და პრინციპებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოამზადოს პროექტის ალტერნტიული ვერსია, სამუშოს ჯგუფის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული დაშვებებით;
3. მეთოდოლოგიის გზამკვლევით დადგენილი წესით განხილული პროექტები წარუდგინოს პროექტების შერჩევაზე პასუხისმგებელ, გზამკვლევით და მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ზემდგომ ორგანოს;
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენისას პროექტზე გასცეს რეკომენდაცია: მიზანშეწონილია გადავიდეს შემდგომ ეტაპზე ან არ არის მიზანშეწონილი გადავიდეს შემდგომ ეტაპზე;
5. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ, საინვესტიციო პროექტების განხორციელების ციკლის შემდგომ ეტაპებზე, კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს, დაამუშაოს და გააანალიზოს პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
6. საბიუჯეტო დეპარტამენტისაგან საჭიროებისამებრ მიიღოს ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესით განსაზღვრულ ვადებში, მხარჯავი დაწესებულებების/მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებულ საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტებში, საბიუჯეტო განაცხადებსა და ბიუჯეტების პროექტებში ასახული კაპიტალური პროექტების შესახებ, პროექტების შერჩევის ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

7. ზედამხედველობა გაუწიოს სამუშაო ჯგუფის სამდივნოს მიერ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენილი საინვესტიციო პროექტების რეესტრის წარმოებას;
8. გზამკვლევისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად, განიხილოს და შესაბამისი რეკომენდაციები მოამზადოს მიმდინარე საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის ანგარიშთან მიმართებაში;
9. გზამკვლევისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად, განიხილოს დასრულებული საინვესტიციო პროექტების შესრულების შემდგომი ანგარიში და მასზე დაფუძნებით რეკომენდაციები შეიმუშავოს საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფის მიზნით;
10. მოამზადოს წინადადებები გზამკვლევისა და მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით;
11. იმ პროექტებთან მიმართებაში, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინსიტროში განსახილველად შემოდის „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, სათანადო ღონისძიებები;
12. შეიმუშაოს საჯარო ფინანსების (ელექტორონული) სისტემის (ePFMS) ფარგლებში საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ელექტრონული მოდულის შესაქმნელად კონცეფცია და უზრუნველყოს მისი დანერგვის ხელშეწყობა.

მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის მუშაობის ორგანიზაცია

1. სამუშაო ჯგუფის სხდომებს წარმართავს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს ხელმძღვანელის მოადგილე;
3. სამუშაო ჯგუფის სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ;
4. სამუშაო ჯგუფს და მის საქმიანობას ტექნიკურ დახმარებას უწევს სამუშაო ჯგუფის სამდივნო. სამდივნოს ფუნქციას ითავსებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტი (შემდგომში სამდივნო);
5. სამუშაო ჯგუფის სხდომის მოწვევის თხოვნით სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს მიმართავს სამდივნო, რომელიც სხდომის დღის წესრიგის პროექტს განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის წევრების მოთხოვნით/შეთანხმებით;
6. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი;
7. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება სამუშაო ჯგუფის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ხმა. ასევე, სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია პროექტის შეფასების მიზნით შეიმუშავოს ქულათა მინიჭების კრიტერიუმების სისტემა;
8. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და სამუშაო ჯგუფის მდივანი;

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შემოსულ საინვესტიციო პროექტს, საბიუჯეტო დეპარტამენტი, როგორც სამუშაო ჯგუფის სამდივნო, ატარებს რეესტრში, რომელიც უნდა მოიცავდეს არანაკლებ ამ დებულების დანართით (დანართი - საინვესტიციო პროექტების რეესტრი) გათვალისწინებულ ინფორმაციას;
10. პროექტის მიღებიდან 2 კვირის ვადაში სამუშაო ჯგუფის სამდივნო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფისკალური რისკების სამმართველო ამოწმებს შემოსული პროექტის კონცეფციის ბარათის და ძირითადი დაშვებების შესაბამისობას მეთოდოლოგიის მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს დამატებით ინფორმაციას;
11. სამდივნო სრულყოფილი პროექტის მიღების შემდგომ, ინფორმაციას უგზავნის სამუშაო ჯგუფის წევრებს, კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად და უფლებამოსილია მისი ინიციატივით ან სამუშაო ჯგუფის წევრის მოთხოვნით, მოითხოვოს სამუშაო ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა;
12. სამუშაო ჯგუფმა, სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ინფორმაციის მიღებიდან ან მოსამზადებელი შეხვედრიდან (ასეთის ჩატარების შემთხვევაში) 2 თვის ვადაში უნდა უზურნველყოს სამუშაო ჯგუფის მიერ ამ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით შემაჯამებელი სხდომის ჩატარება;
13. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ მონაწილეობის მიღება შეიძლება ეთხოვოთ საბიუჯეტო დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლებს, საკურატორო მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების მიხედვით;
14. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ მონაწილეობის მიღება შეიძლება ეთხოვოთ სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების/საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებს;
15. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი განსაზღვრავს საინვესტიციო პროექტების განხილვის, მომზადების და შეფასების ვადებს და საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის ქვეჯგუფის შემადგენლობას;
16. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი განსაზღვრავს ქვეჯგუფის ხელმძღვანელს - კონკრეტულ საინვესტიციო პროექტზე პასუხისმგებელ პირს;
17. სამუშაო ქვეჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა შესაძლებელია მიიღონ, როგორც სამუშაო ჯგუფის მუდმივმა წევრებმა, ისე მოწვეულმა პირებმა (ხმის უფლების გარეშე);
18. სამუშაო ჯგუფის წევრები გზამკვლევით და მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ვადაში, მხარჯავი დაწესებულებების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი საინვესტიციო პროექტების შესრულების ანგარიშის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ამზადებენ შემაჯამებელ ინფორმაციას, რომელშიც ასახულია არსებული გამოწვევები და შესაძლო რისკები;
19. სამუშაო ჯგუფი, იხილავს საინვესტიციო პროექტის შესრულების შემდგომ ანგარიშს და ორ წელიწადში ერთხელ ამზადებს შემაჯამებელ შეფასებას;

20. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და შესაბამისი წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების კოორდინირებას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, ამ დებულებით განსაზღვრული წესით;
21. სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლა, როგორც წესი ხდება ელექტრონული ფოსტის და ელექტრონული მატარებლების მეშვეობით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

სამუშაო ჯგუფის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

დანართი
საინვესტიციო პროექტების რეესტრი[1]

N	საინვესტიციო პროექტის დასახელება	საინვესტიციო პროეტის სექტორი[2]	ინიციატორი მხარჯავი დაწესებულება/ მუნიციპალიტეტი	პროექტის მთლიანი ღირებულება[3]	მ.შ. კაპიტალური ხარჯები	მ.შ. მიმდინარე ხარჯები	ინიციატორის გათვლების მიხედვით				სამუშაო ჯგუფის გაანგარიშებით[4]				სტატუსი
							NPV	IRR	ENPV	EIRR	NPV	IRR	ENPV	EIRR	
1															
2															

[1] წარმოდგენილი დანართის ფორმა სარეკომენდაციო ხასიათისაა და საინვესტიციო პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დაემატოს ინფორმაცია.

[2] „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის №191 დადგენილებით დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევით განსაზღვრული სექტორიზაციის მიხედვით;

[3] პროექტის ღირებულება მიეთითება შესაბამის ვალუტაში, თუ გათვლები არ არის მომზადებული ეროვნულ ვალუტაში. ამ შემთხვევაში, პროექტის ღირებულება აუცილებელია მიეთითოს ეროვნულ ვალუტაშიც.

[4] ივსება იმ შემთხვევაში თუ სამუშაო ჯგუფის მიერ გაანგარიშებული ფინანსური მაჩვენებლები განსხვავდება ინიციატორის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლებისგან. ასეთ შემთხვევაში შენიშვნის სვეტში მიეთითება შესაბამისი განმარტება.